საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გადაწყვეტილება №1/204-2007

2007 წლის 25 სექტემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის

ფიცის ტექსტის დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის თანდართული ფიცის ტექსტი.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის ფიცის ტექსტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 7 აგვისტოს №458 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის ფიცი

ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, ყოველივეს ვიღონებ, რათა:

– ღირსვმსახურებდე სიმართლესა და სამართლიანობას;

– ერთგულად ვიცავდე ადამიანის უფლებებს, საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს;

– განვსჯიდე უანგაროდ, ცოდნითა და რწმენით;

– ვიყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი;

– პირნათლად ვასრულებდე მოსამართლის მაღალ დანიშნულებას!